

1. აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ძირითადი კანონი (კონსტიტუცია)

(კონსტიტუცია დამტკიცებულ და ამოქმედებულ იქნა აფხაზეთის სსრ ცაკ-ის მესამე მოწვევის მესამე სესიის მიერ 1926 წლის 27 ოქტომბერს, ტექსტი უცვლელად დაამტკიცა სრულიად აფხაზეთის საბჭოების I V ყრილობამ 1927 წლის 7 მარტს)

თავი I

ზოგადი დებულებანი.

(...)

2. აფხაზეთის რესპუბლიკა არის მუშებისა და მშრომელი გლეხობის სოციალისტური სახელმწიფო, რომელიც შედის განსაკუთრებული ხელშეკრულების ძალით საქართველოს სოციალისტურ რესპუბლიკაში და მისი მეშვეობით ა/კ. სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკაში.

3. აფხაზეთის სოც. საბჭოთა რესპუბლიკაში უზენაესი ხელისუფლების მატარებელი აფხაზეთის მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა დეპუტატების ყრილობაა, ხოლო ყრილობიდან-ყრილობამდე აფხაზეთის საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი.

4. აფხაზეთის სოც. საბჭოთა რესპუბლიკა ახორციელებს მის ტერიტორიაზე სახელმწიფოებრივ ხელისუფლებას დამოუკიდებლად უმეშვეოთიძენად, რამდენადაც ხელისუფლება არ არის შეზღუდული ხელშეკრულობის შეთანხმებით საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკასთან და ა/კ. სოციალ. ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკების კონსტიტუციებით.

5. აფხაზეთის სოც. საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორია არ შეიძლება შეცვლილ იქნეს გარეშე მისი თანხმობისა.

6. აფხაზეთის სოც. საბჭოთა რესპუბლიკის მოქალაქენი რესპუბლიკანური მოქალაქეობის შენარჩუნებით არიან ერთსა და იმავე დროს საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის, ა/კ სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკისა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მოქალაქე. ყოველივე უფლებანი და ვალდებულებანი აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მოქალაქეთათვის, დაწესებული ამ კონსტიტუციით და რესპუბლიკის კანონმდებლობით, ვრცელდება ყველა სხვა სოციალ. საბჭ. რესპუბლიკებიდან აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკაში მოსულ მოქალაქეებზე. აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკა იცავს რა ყველა ქვეყნისა და ეროვნების მშრომელთა სოლიდარობას, ანიჭებს პოლიტიკურ უფლებას უცხოელებსაც, რომელნიც მის ტერიტორიაზე რაიმე შრომას ეწევიან და ეკუთვნიან მუშათა კლასს, აგრეთვე იმ გლეხებსაც, რომელიც არ სარგებლობს სხვისი შრომით.

7. აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა, აღიარებს მოქალაქეთა თანასწორობის უფლებას, მათი რასისა და ეროვნების დამოუკიდებლად და ამიტომ მას რესპუბლიკის ძირითადი კანონების მიუხედავად სრულიად შეუფერებლად მიაჩნია რაიმე (პირდაპირი და არა პირდაპირი) უპირატესობის დაწესება და მით უმეტეს, ეროვნულ უმცირესობათა რაიმე ჩაგვრა ან მათი თანასწორობის შეზღუდვა.

8. აფხაზეთის სოციალ. საბჭ. რესპუბლიკის დაწესებულებათათვის სახელმწიფო ენა არის: აფხაზეთური, ქართული და რუსული.

შენიშვნა 1. აფხაზეთის სოციალ. საბჭ. რესპუბლიკაში ყველა მკვიდრს მინიჭებული აქვს უფლება თავისუფალი განვითარებისა და მშობლიური ენის ხმარებისა, როგორც საკუთარი ეროვნულ კულტურულსა, აგრეთვე სახელმწიფო დაწესებულებებში.

შენიშვნა 2. ადმინისტრატიულ-ტერიტორიულ ერთეულის ენა (მაზრების, უბნების, სოფლების) ირკვევა აფხაზეთის სოციალ. საბჭ. რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ.

(...)

თავი 2.

აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკის საქართველოს სოც. საბჭ.

რესპუბლიკასთან ხელშეკრულობის ურთიერთობაზე.

17. აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა განსაკუთრებული ხელშეკრულების ძალით შედის საქართველოს სოციალ. საბჭოთა რესპუბლიკაში, ხოლო მისი მეშვეობით – ამიერ-კავკასიის სოციალისტურ-ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკაში.

18. აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკის საბჭოთა ყრილობის წარმომადგენელნი მონაწილეობას იღებენ სრულიათ საქართველოს საბჭოთა ყრილობაში შემდეგი ანგარიშით: იქ სადაც საბჭოებს ირჩევენ მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით, ყოველ 10 000 მცხოვრებზე უნდა მოდიოდეს ერთი დეპუტატი, ხოლო იქ სადაც საბჭოებს ირჩევენ ამომრჩეველთა რიცხვის მიხედვით, ერთი დეპუტატი მოდიოდეს ყოველ ორი ათას ამომრჩეველზე.

19. სრულიათ საქართველოს საბჭოთა ყრილობა აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკის წარმომადგენლებს ირჩევს, თვით ყრილობის მიერ განსაზღვრული რიცხვით სრულიათ საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრებათ.

20. აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ყრილობა, ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და მისი პრეზიდიუმი, აგრეთვე აფხაზეთის სოციალისტური საბ. რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები მოეწყობიან აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუციის საფუძველთა მიხედვით.

21. აფხ. სოც. საბ. რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დაარსებული სახალხო კომისართა საბჭო შესდგება თავმჯდომარისაგან და სახალხო კომისართაგან, რომელნიც სათავეში უდგანან სახალხო კომისარიატებს: შინაგან საქმეთა, იუსტიციის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, მიწათმოქმედების და სოციალური უზრუნველყოფის. სახალხო კომისართა საბჭოს შემადგენლობაში შედიან აგრეთვე საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ფინანსთა, შრომის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის რწმუნებულნი, რომელთაც აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა

რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით მიენიჭებათ გადაწყვეტი _ ან საათობირო ხმის უფლება.

შინაგან საქმეთა, იუსტიციის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, მიწათმოქმედების და სოციალური უზრუნველყოფის. სახალხო კომისარიატები მოქმედობენ საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სათანადო სახალხო კომისარიატებისაგან დამოუკიდებლათ, ხოლო აწვდიან ერთმანეთს ცნობებს თავთავის მუშაობის შესახებ.

სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო თავის მოქმედებაში ემორჩილება აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს და სახალხო კომისარიატს და ანხორციელებენ საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს დირექტივებს.

ფინანსთა, შრომის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის რწმუნებულნი არიან საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სათანადო სახალხო კომისარიატების ორგანოები _ უშუალოთ ემორჩილებიან მათ, ხოლო თავის მუშაობის ანგარიშს უდგენენ აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს და სახალხო კომისარიატს.

22. აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკის ხელისუფლების უზენაეს ორგანოთ უფლება აქვთ სახელმწიფო მმართველობის იმ დარგში, რაც არ არის გაერთიანებული (შინაგან საქმეთა, იუსტიციის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, მიწათ-მოქმედების და სოციალური უზრუნველყოფის) დამოუკიდებლათ გამოსცენ საკანონმდებლო აქტები, რომელთაც სავალდებულო ძალა აქვს აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე გასავრცელებლათ გამოცემულ კოდექსებს, დეკრეტებს და დადგენილებებს, სავალდებულო ძალა აქვს აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ამასთანავე აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ხელისუფლების უზენაეს ორგანოთ უფლება აქვთ აღნიშნული აქტების განსავითარებლათ და შესავსებათ გამოსცენ საკანონმდებლო აქტები, რომელთაც სავალდებულო ძალა აქვთ აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

23. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის, მისი პრეზიდიუმის და სახალხო კომისარიატს ყველა დადგენილებას და განკარგულებას რაც კი საერთო (მუშათა და გლეხთა ინსპექციის, შრომის და ფინანსების გაერთიანებული) სახალხო მეურნეობის სახელმწიფოებრივი მმართველობის საკითხებს ეხება, აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე სავალდებულო ძალა აქვთ., ამასთან აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ხელისუფლების უზენაეს ორგანოთ უფლება აქვთ გაერთიანებული სახელმწიფოებრივი მმართველობის დარგში, საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის კანონმდებლობის განსავითარებლათ

გამოსცენ საკანონმდებლო აქტები, რომელთაც სავალდებულო ძალა აქვთ აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

24. სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობას და სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს უფლება აქვთ გააუქმონ აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკის საბჭოთა ყრილობის, ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს ყველა ის დადგენილება, რაც ეწინააღმდეგება ამ კონსტიტუციის მეორე თავს.

25. აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ბიუჯეტი მის შემდეგ, როდესაც მას დაამტკიცებს ამ რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, შემადგენელ ნაწილათ შედის საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის საერთო სახელმწიფო ბიუჯეტში, რომელიც მტკიცდება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ.

აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე ყველა ადგილობრივი შემოსავალ-გასავალი ერთიანდება ადგილობრივ ბიუჯეტათ საერთო-საკავშირო და ამიერ კავკასიის საფედერაციო ძირითადი კანონების წესით.

თავი # 3.

აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საბჭოთა ყრილობის გამგებლობის საგნები.

26. მარტოდენ აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკის საბჭოთა ყრილობის გამგებლობას ეკუთვნის:

ა) აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკის კონსტიტუციის ძირითადი საფუძვლების დაწესება, შეცვლა და შევსება, აგრეთვე ამ კონსტიტუციის იმ ნაწილობრივ ცვლილებების საბოლოოთ დამტკიცება, რასაც ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი მიიღებს აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის საბჭოთა ყრილობებს შუა

ბ) აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის საზღვრების შეცვლის საკითხის გადაწყვეტა.

27. აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საბჭოთა ყრილობის გამგებლობას ეკუთვნის ყველა საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხი რამდენათ ისინი არ ეკუთვნიან საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის, ამიერ კავკასიის სოციალისტურ-ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკის და საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის უზენაეს ორგანოებს, თანახმათ საკავშირო და ამიერ კავკასიის კონსტიტუციისა და მეორე თავის ამა კონსტიტუციისა.

აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საბჭოთა ყრილობის გამგებლობას ეკუთვნიან აღნიშნულ ფარგლებში:

ა) აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკის მთელი საშინაო პოლიტიკის და სახალხო მეურნეობის საერთო ხელმძღვანელობა

ბ) აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიის საერთო საადმინისტრაციო დაყოფა

ვ) აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე მთლად სახალხო მეურნეობის და მისი ნაწილების გეგმის გამორკვევა

გ) აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკის ბიუჯეტის დამტკიცება და მისი შესრულებისათვის უზენაესი ზედამხედველობა

დ) დადგენა გადასახადებისა, ბეგარისა, რომელიც ირკვევა საფინენსო კანონმდებლობით

ე) აფხ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის კანონთა, კოდექსების დამტკიცება და აგრეთვე სარესპუბლიკო კანონმდებლობა ისეთ საკითხების შესახებ, რომელნიც არ ეკუთვნის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს, ამიერ კავკასიის სოც. ფედერატიული რესპუბლიკის და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის გამგებლობას

ვ) საერთო ამნისტიისა და შეწყალების უფლება იმ მოქალაქეთა მიმართ, რომელთაც მსჯავრი დაედო აფხ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის სამოსამართლო და საადმინისტრაციო ორგანოების მიერ და აგრეთვე უფლება რესპუბლიკის მოქალაქეთა პოლიტიკურ უფლებათა აღდგენისა

ზ) გაუქმება და შეჩერება სამაზრო ყრილობის და სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებისა, რომელნიც არ ეთანხმებიან ამ კონსტიტუციას და აფხ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის მოქმედ კანონმდებლობას

თ) ყველა საკითხები, რომელთაც საბჭოთა ყრილობა ან აფხაზეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი თავის საგანმგებლო საგნათა სცნობს.

28. აღნიშნული საკითხების გარდა საბჭოთა ყრილობა და აფხ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტს ექვემდებარება სხვა საკითხებიც თანახმად საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის, ამიერ კავკასიის სოც. ფედერ. საბჭ. რესპუბლიკის და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის კონსტიტუციისა და კანონმდებლობისა.

29. აფხ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე სავალდებულო ძალა აქვს საბჭოთა სოც. რესპუბლიკების კავშირის და ა. კ. სოც. ფედ. საბჭ. რესპ. უზენაეს ორგანოთა დადგენილებას იმ საზღვრებში და იმ საკითხების შესახებ, რაც მათ კომპეტენციას ეკუთვნის და მასთანავე საქ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის უზენაეს ორგანოების საკანონმდებლო აქტებს, თანახმად ამ კონსტიტუციის მეორე თავის. ამათი გამოკლების გარდა არავითარ ორგანოს საბჭ. ყრილობისა და აფხ. სოც. საბჭ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის, ხოლო ქვემდებარე შემთხვევებში მისი პრეზიდენტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მეტს არა აქვთ უფლება აფხ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიისათვის იძლიონ საერთო-სახელმწიფო საკანონმდებლო აქტები.

თავი 4.

საბჭოთა ხელის უფლების წყობილება

აფხ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის საბჭოთა ყრილობა

30. აფხ. სოც. საბჭ. რესპუბლიკა შესდგება საბჭოთა სამაზრო ყრილობის წარმომადგენელთაგან იმ ანგარიშით, რომ იქ სადაც საბჭოებს ირჩევენ მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით ყოველ 1000 მცხოვრებზე მოდიოდეს ერთი დეპუტატი,

ხოლო იქ, სადაც საბჭოებს ირჩევენ ამომრჩეველთა რიცხვის მიხედვით, ერთი დეპუტატი მოდიოდეს ყოველ 200 ამომრჩეველზე.

31. აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკის საბჭოთა ყრილობა ირჩევს აფხ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს თვით ყრილობის მიერვე განსაზღვრულ წევრთა რიცხვისას.

32. აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკის საბჭოთა ყრილობას იწვევს აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკის აღმასრულებელი კომიტეტი წელიწადში ერთხელ.

შენიშვნა: უკეთუ რაიმე საგანგებო გარემოება ხელს შეუშლის დაწესებულ ვადაზე საბჭოთა ყრილობის მოწვევას აღმასრულებელ კომიტეტს უფლება აქვთ გადასდონ ყრილობის მოწვევა.

33. აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკის საგანგებო ყრილობას იწვევს აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკის აღმასრულებელი კომიტეტი, როგორც საკუთარი თაოსნობით, ისე იმ კუთხის საბჭოთა და საბჭოთა ყრილობის მოთხოვნილებით, რომლის მცხოვრებთა რიცხვი აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკის მოსახლეობის ერთ მესამედზე ნაკლები არ არის.

ბ/ აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და მისი პრეზიდიუმი.

34. აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი არის აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკის უზენაესი საკანონმდებლო, განმკარგულებელი და საკონტროლო ორგანო.

35. აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი საკუთარი თაოსნობით, ნაჩვენებ ამ კონსტიტუციის მეორე თავში კომპეტენციით გამოსცემს კოდექსებს და დადგენილებებს და აგრეთვე განიხილავს და დაამტკიცებს სახალხო კომისართა საბჭოს მიერ წარმოდგენილ კანონპროექტებს.

36. ყველა დეკრეტი და დადგენილება, რომელიც საზღვრავს აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკის პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრების ზოგად ნორმებს, სახელმწიფო ბიუჯეტი და აგრეთვე ყველა ის აქტები, რაც არსებითათ სცვლის რესპუბლიკის სახელმწიფო ორგანოთა პრაქტიკას, განსახილველათ უნდა წარედგინოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს.

37. აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი საერთო გეზით წარმართავს აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობის და ხელისუფლების ყველა ორგანოს მოქმედებას, აერთიანებს და ათანხმებს მუშაობას კანონმდებლობის და მმართველობის დარგში, თვალყურს ადევნებს აფხ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის კონსტიტუციას, აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკის საბჭოთა ყრილობის დადგენილებას, აგრეთვე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კავშირის და ამიერ კავკასიის სოც. ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკის ხელისუფლების უზენაეს ორგანოთა დადგენილებათა განხორციელებას და წინდახედული ამა კონსტიტუციის მეორე მუხლში საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის კანონმდებლობას.

40. აფხ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ირჩევს აფხ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს და საზღვრავს მის ფარგლებს.

42. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი სესიებს შუა აფხ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი საკანონმდებლო, განმკარგულებელი და საკონტროლო ორგანო არის აფხ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი.

43. აფხ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი აფხ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სახელით გამოსცემს დეკრეტებს, დადგენილებებს და განკარგულებებს და ამტკიცებს სახალხო კომისართა საბჭოს მიერ მის განსახილველათ წარმოდგენილ კანონპროექტებს.

44. აფხ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი თვალყურს ადევნებს აფხ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის კონსტიტუციის ცხოვრებაში გატარების და აგრეთვე ხელისუფლების ყველა ორგანოს მიერ საბჭოთა ყრილობის და აფხ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ყველა დადგენილებების შესრულებას. იგი არის უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანო როგორც ცენტრში ისე ადგილზე.

45. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიებს შუა ნიშნავს სახალხო კომისართა საბჭოს წარდგენით სახალხო კომისართ, რომელთაც შემდეგ დასამტკიცებლათ წარუდგენს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, ნიშნავს აგრეთვე სხვა უმაღლესი თანამდებობის პირთ, რომელთა დანიშვნა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ გათვალისწინებულია კანონით.

46. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი განიხილავს თხოვნას შეწყალებისას და პოლიტიკურ უფლებათა აღდგენის შესახებ.

47. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტს უფლება აქვს შეაჩეროს და გააუქმოს დადგენილებანი და განკარგულებანი აფხ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი, სახალხო კომისარებისა და რესპუბლიკის ცენტრალურ დაწესებულებათა, სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტებისა და სამაზრო საბჭოების ყრილობათა დადგენილებანი.

48. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი სწყვეტს ხელისუფლების ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოთა შორის ურთიერთობის ნიადაგზე აღძრულ ყოველგვარ დავას.

გ) აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო.

50. აფხ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო არის აფხ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანო. სახალხო კომისართა საბჭოს ეკუთვნის აფხ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის საერთო მმართველობა.

52. აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო მოქმედობს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ მინიჭებული სახალხო კომისართა

საბჭოს დადგენილების ძალის უფლების ფარგლებში: გამოსცემს დეკრეტებს და დადგენილებებს, რომელთა ასრულება სავალდებულოა აფხ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე.

53. აფხ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსდება რესპუბლიკის ეკონომიური საბჭო, რომელიც მოქმედობს განსაკუთრებული დებულების ძალით და ა/კ. სოც. ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის უმაღლესი ეკონომიური საბჭოს საერთო ხელმძღვანელობით წარმართავს აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკის ეკონომიურ პოლიტიკას.

54. აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო თავის მოქმედებისათვის პასუხის მგებელია აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და მისი პრეზიდიუმის წინაშე.

აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისარიატები.

55. სახელმწიფო მმართველობის იმ ცალკე დარგების უმეშვეო ხელმძღვანელობისათვის, რაც აფხ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისარიატები: შინაგან საქმეთა, იუსტიციის, განათლების ჯანმრთელობის დაცვის მიწათ მოქმედების, სოციალისტურ უზრუნველყოფის და სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო, რომელნიც მოქმედობენ თავ თავისი განსაკუთრებული დებულების ძალით.

56. აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისარიატების სათავეში დგანან სახალხო კომისრები, აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს წევრები.

59. სახალხო კომისრები და სახალხო კომისარიატებთან არსებული კოლეგიები თავისი მოქმედებისათვის პასუხს აგებენ სახალხო კომისართა საბჭოსა და აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და მისი პრეზიდიუმის წინაშე.

60. აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს, საქართველოს სოციალისტური საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისარიატების ფინანსთა, შრომის, მუშათა და გლეხთა ინსპექციის რწმუნებულთა აფხაზეთში ურთიერთობა საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის და აფხ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის უზენაეს ორგანოებთან განმარტებული არის ამ კონსტიტუციის 21 მუხლში.

61. აფხ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისარიატების დადგენილებანი შეიძლება გაუქმებულ იქნეს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის, მისი პრეზიდიუმის და აფხ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ.

განკარგულებანი სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსი, ფინანსთა, შრომის, მუშათა და გლეხთა ინსპექციის რწმუნებულთა შეიძლება გაუქმებულ იქნას: სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსი თუ კი ის არ არის დამყარებული აფხ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის, ან მისი პრეზიდიუმის ან სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებაზე და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მეურნეობის უმაღლეს საბჭოსგან მოწერილობაზე: ფინანსთა, შრომის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის კომისარიატების რწმუნებულთა საქართველოს

სოც. საბჭ. რესპუბლიკის შესაბამის კომისარიატებთან იმ პირობით თუ კი ესეთი განკარგულებანი ეწინააღმდეგებიან მოცემულ დირექტივებს ან კანონმდებლობას ზოგადს თუ გაერთიანებულ მმართველობისას.

დ) ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები, მაზრის საბჭოთა ყრილობები, მაზრის აღმასრულებელი კომიტეტები, დეპუტატთა საბჭოები და მათი აღმასრულებელი ორგანოები.

62. მაზრის ტერიტორიაზე უმაღლესი ხელისუფლება ეკუთვნის მაზრის საბჭოთა ყრილობას, მისი გამგებლობის ფარგლებში, ხოლო სამაზრო ყრილობებს შუა – მაზრის აღმასრულებელ კომიტეტს.

69. მაზრის ტერიტორიაზე მმართველობის იმ დარგების უმეშვეო გამგებლობისათვის, რაც სამაზრო ხელისუფლების კომპეტენციას შეადგენს, მაზრის აღმასრულებელი კომიტეტები აარსებენ განყოფილებებს, რომელთა ორგანიზაციას, სტრუქტურას და კომპეტენციას საზღვრავს აფხ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი.

70. მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებანი უმეშვეოთ ემორჩილებიან რა სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტებს და მათ პრეზიდენტებს ვალდებულნი არიან შეასრულონ, როგორც შესაფერი მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის და მისი პრეზიდენტის, აგრეთვე აფხ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის სათანადო სახალხო კომისარიატებისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისარიატების რწმუნებულთა ყველა ბრძანება და განკარგულებანი.

ვ) სასამართლო და საპროკურორო ზედამხედველობა.

79. მუშათა და გლეხთა სახელმწიფოსი და მშრომელთა სამართლებრივი დაცვისათვის, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და რევოლუციონერი კანონების გამტკიცებისათვის და აგრეთვე იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს სახელმწიფოსი და მშრომელთა სამეურნეო ინტერესები აფხ. სოც. საბჭ. რესპუბლიკაში მოქმედობს ერთიანი სახალხო სასამართლო და მასთან არსებული საპროკურორო ზედამხედველობა, სახალხო სასამართლო მოწყობილი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მიერ დადგენილ საფუძველზე და მოქმედობს იმ საპროცესო წესით, რომლის ძირითად საფუძველს საზღვრავს სოც. საბჭ. რესპუბლიკების კავშირი.

80. სამოსამართლო ორგანოები და საპროკურორო ზედამხედველობა ხელმძღვანელობენ აფხ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონმდებლობით, ხოლო შესაფერ შემთხვევებში ამ კონსტიტუციის თანახმად და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის, რომლის საფუძველი დადგენილია საბჭოთა სოც. რესპუბლიკის კავშირის მიერ და აფხ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედ კანონებით, უკეთუ კანონი არ არსებობს ან სრული არ არის საბჭოთა კანონმდებლობის საერთო აზრით და მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს ინტერესები.

თავი VI

აფხ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის საბიუჯეტო უფლება

90. აფხ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის ყველა სახელმწიფო შემოსავალი და გასავალი, გაერთიანებულია აფხ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტად.

91. აფხ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტს სახალხო კომისართა გადასინჯვის შემდეგ ამტკიცებს აფხ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი.

92. აფხ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტი აფხ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დამტკიცების შემდეგ, შედის შემადგენელ ნაწილად საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის საერთო სახელმწიფოებრივ ბიუჯეტში და მტკიცდება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ, როგორც შემადგენელი ნაწილი საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის საერთო სახელმწიფოებრივი ბიუჯეტისა.

93. აფხ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, საერთოკავშირო და ამიერ კავკასიის საბიუჯეტო კანონმდებლობის ფარგლებში, რომელნიც გამოდიან გასავითარებლად უკანასკნელი საკანონმდებლო აქტებისა რომელთაც აქვთ თანახმად ამ კონსტიტუციისა სავალდებულო ძალა აფხ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე ამტკიცებს შედგენის, განხილვის, დამტკიცების და შესრულების წესს აფხ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტისას.

94. აფხ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის, შემოსავლის წყაროები და აგრეთვე გასავლისაც, რომელიც მიკუთვნებულია ამ ბიუჯეტზე განისაზღვრებიან ამიერ კავკასიის კანონმდებლობის საერთო-საკავშირო საბიუჯეტო კანონის დადგენილ ფარგლებში.

95. აფხ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე ყოველგვარი გადასახადი და გამოსაღები წესდება საერთო საკავშირო კანონმდებლობის განსაზღვრული წესით.

98. ყველა ადგილობრივი შემოსავალ-გასავალი ერთიანდება ადგილობრივ ბიუჯეტებად საერთო საკავშირო და ამიერ კავკასიის საფედერაციო ძირითადი კანონების წესით და აგრეთვე უკანასკნელის განსავითარებლად აფხ. სოც. საბჭ. რესპუბლიკაში გამოცემული კანონების მიხედვით. ამ რიგათვე განისაზღვრება ადგილობრივი ბიუჯეტის შედგენის, განხილვის, დამტკიცების და შესრულების წესიც.

99. ამ ხარჯების დასაფარავად, რაც გაწეულ უნდა იქნეს ადგილობრივ სახსრიდან ადგილობრივ საშემოსავლო წყაროები – საგადასახადო და არასაგადასახადო მიეცემათ საერთო საკავშირო და ამიერ კავკასიის საფედერაციო ძირითადი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით და აფხ. სოც. საბჭ. რესპუბლიკაში მის გასავითარებლათ გამოცემულ საკანონმდებლო აქტების მიხედვით.

100. აფხ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს ამტკიცებს აფხ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი.

თავი 7.

აფხ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის ღერბი, დროშა და დედაქალაქი.

101. აფხ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახელმწიფო ღერბი შესდგება ოქროს ნამგალის და უროს გამოხატულება აფხ. პეიზაჟის ფონზე ზევითა ნაწილში

გამოხატულია მზის სხივებში ხუთ წვეტიანი ვარსკლავი. ღერბი დაგვირგვინებულია ორნამენტით სიმინდი, თუთუნი და ყურძენისაგან გამოხატული გვირგვინით და გარს შემოვლებული აქვს წითელი ზოლი, რომელზედაც სამ ენაზედ არის წარწერა – აფხაზურად, ქართულად და რუსულად `აფხ. ს. ს. რ. და პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით`.

102. აფხ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახელმწიფო დროშა შესდგება წითელის ან ალის ფერის ქსოვილისაგან, რომელზედაც ზევით კუთხეში ხესთან არის ოქროს ნამგალი და ურო გამოხატული და მას ზევით კი წითელი ხუთწვეტიანი ვარსკლავი, რომელიც გარსშემოვლებულია ოქროს არშიით, რის ქვევით არის ოთხი ანბანი `ა. ს. ს. რ.` სიგრძეს სიგანესთან შეთანხმება 1 : 2.

103. აფხ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის დედაქალაქი არის ქ. სოხუმი.

1926 წლის 27 ოქტომბერი

(აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ძირითადი კანონი (კონსტიტუცია), სოხუმი, 1926 გვ. 4-27)